

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის – თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის შინაგანაწესი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრი (შემდგომში – კრიზისული ცენტრი) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში – ფონდი) სტრუქტურულ ერთეულს.
2. კრიზისული ცენტრი თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით, წინამდებარე შინაგანაწესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. შინაგანაწესი სავალდებულოა შესასრულებლად კრიზისული ცენტრის მომსახურებ(ებ)ით მოსარგებლე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლებისთვის/დაზარალებულებისთვის/სავარაუდო მსხვერპლებისთვის, ასევე, დამოკიდებული პირებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ კრიზისული ცენტრის ბენეფიციარებს (შემდგომში – ბენეფიციარი) და კრიზისული ცენტრის თანამშრომლებისათვის, ასევე იმ პირებისათვის, რომლებიც დროებით იმყოფებიან კრიზისულ ცენტრში.
4. კრიზისულ ცენტრს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია ფონდის და კრიზისული ცენტრის დასახელება.
5. შინაგანაწესის დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

მუხლი 2. შინაგანაწესის რეგულირების სფერო

შინაგანაწესი განსაზღვრავს კრიზისული ცენტრის უფლებამოსილებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის განსაზღვრავს კრიზისული ცენტრის მომსახურების სახეებს, მომსახურების მიწოდების პირობებსა და ვადებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ხასიათის ძალადობის (შემდგომში ძალადობის) მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის/სავარაუდო მსხვერპლთათვის (მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ასევე, განსაზღვრავს კრიზისული ცენტრის

თანამშრომელთა და ბენეფიციართა უფლება-მოვალეობებსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებს.

მუხლი 3. კრიზისული ცენტრის მიზანი

1. კრიზისული ცენტრი არის ძალადობის *მსხვერპლთა/დაზარალებულთა/სავარაუდო მსხვერპლთა* (მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად), დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით შექმნილი მომსახურების დაწესებულება.

2. კრიზისული ცენტრის მიზანია:

ა) კრიზისული ცენტრის ბენეფიციართათვის ადეკვატური, უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნა;

ბ) ბენეფიციართა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

გ) ბენეფიციართა ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარების/რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

მუხლი 4. კრიზისული ცენტრის ხელმისაწვდომობა

1. კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობა შეუძლია ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს/სავარაუდო მსხვერპლს (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) განურჩევლად მათი რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, მოქალაქეობისა, წარმოშობისა, დაბადების ადგილისა, საცხოვრებელი ადგილისა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობისა, რელიგიისა ან რწმენისა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილებისა, პროფესიისა, ოჯახური მდგომარეობისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, შეზღუდული შესაძლებლობისა, სექსუალური ორიენტაციისა, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა ან სხვა ნიშნისა.

2. კრიზისულ ცენტრის მომსახურებ(ებ)ით ვერ ისარგებლებს პირი იმ შემთხვევაში:

ა) თუ არ არის ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული ან ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი;

ბ) თუ უშუალოდ მისგან არსებობს სხვა ბენეფიციარებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საფრთხე;

გ) ჰყავს შინაური ცხოველ(ებ)ი/ფრინველ(ებ)ი (კატა, ძაღლი და სხვ.) და ითხოვს მასთან ერთად კრიზისულ ცენტრში განთავსებას;

დ) წინამდებარე შინაგანაწესით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 5. ტერმინთა განმარტება

1. **ბენეფიციარი** - ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული/სავარაუდო მსხვერპლი, ასევე, მასზე დამოკიდებული პირი, რომელიც სარგებლობს კრიზისული ცენტრის მომსახურებით.

2. **ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის**

ა) **მსხვერპლი** – ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე

მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (შემდგომ – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი).

ბ) **დაზარალებული** - ოჯახის წევრი, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ოჯახურ დანაშაულებსა (მუხლი 11¹) და ოჯახში ძალადობის (მუხლი 126¹) დანაშაულზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაზარალებულად ცნობს სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო. აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიერ გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულში დაზარალებულად ცნობილი ქალი.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

ა) **მსხვერპლი** – პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიაღწა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მიჩნეულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად;

ბ) **დაზარალებული** – პირი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ ან/და 143² მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ცნობილია დაზარალებულად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

4. სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი ძალადობის/დანაშაულის)

ა) **მსხვერპლი** არის პირი, რომლის მიმართაც, მისი განცხადებით, ჩადენილია სექსუალური ხასიათის ძალადობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXII-ე თავით გათვალისწინებულ ერთ-ერთი დანაშაულ(ებ)ი), რასთან დაკავშირებითაც მიმართული აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებისთვის ან პროკურატურისთვის და დაწყებულია გამოძიება (დასტურდება შესაბამისის წერილით).

ბ) **დაზარალებული** - პირი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXII-ე თავით გათვალისწინებულ დანაშაულ(ებ)ზე ცნობილია დაზარალებულად.

5. **ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლი** – პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ არის მსხვერპლი და კრიზისული ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომელი სპეციალური კითხვარის საფუძველზე დაადგენს ამ პირის მიმართ ძალადობის (ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობა, იძულება, უგულვებელყოფა, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) განხორციელების სავარაუდო ფაქტს.

6. **სექსუალური ხასიათის ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშაულის) სავარაუდო მსხვერპლი** არის პირი, რომელიც აცხადებს, რომ მის მიმართ განხორციელდა სექსუალური ძალადობა, თუმცა აღნიშნული ფაქტის შესახებ სუბიექტური მიზეზებიდან გამომდინარე არც ერთი შესაბამისი უწყებისთვის შეტყობინება არ სურს ან არ სურდა წარსულში, ამასთანავე, თვლის, რომ აქვს საჭიროება ისარგებლოს ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურებით.

7. **დამოკიდებული პირი** არის ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის/სავარაუდო მსხვერპლის 18 წლამდე ასაკის შვილი, ასევე პირი, რომლის კანონიერი წარმომადგენელიც არის ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი.

8. **განმცხადებელი** – კრიზისული ცენტრის მომსახურების მიღების მსურველი პირი, რომელიც შესაბამისი მომსახურების მიღების მოთხოვნით მიმართავს კრიზისული ცენტრის ადმინისტრაციას.

9. **კრიზისული ცენტრის მულტიდისციპლინური გუნდი** - კრიზისული ცენტრის თანამშრომლები: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი, მედდა, ძიძა, რომლებიც ახორციელებენ კრიზისული ცენტრის ბენეფიციარის შემთხვევის მართვას, ბენეფიციართან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემ(ებ)ის იდენტიფიცირებას და მსჯელობენ პრობლემის დაძლევის გზებსა და საშუალებებზე. ამასთან, მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობაში მონაწილეობის მიღების მიზნით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ფონდის ცენტრალური აპარატის/ფონდის სხვა სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტი.

თავი II

ძალადობის მსხვერპლისთვის/დაზარალებულისთვის კრიზისული ცენტრის მომსახურებები, მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები

მუხლი 6. კრიზისული ცენტრის მომსახურებები ძალადობის მსხვერპლისთვის/დაზარალებულისთვის

1. კრიზისული ცენტრი ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს (მასზე დამოკიდებულ პირ(ებ)თან ერთად) უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებებით:

- ა) ფსიქოლოგიურ–სოციალური რეაბილიტაციით;
- ბ) სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით/მიღებით;
- გ) სამართლებრივი დახმარებით;
- დ) საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებით;
- ე) საჭიროების შემთხვევაში, სხვა მომსახურებით.

2. ფსიქოლოგიურ–სოციალური რეაბილიტაცია მოიცავს:

- ა) ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და რეაბილიტაციას;
- ბ) კრიზისულ ინტერვენციას;
- გ) ემოციონალურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას;
- დ) ფსიქოგანათლებას;
- ე) ჯგუფურ რეაბილიტაციას;
- ვ) ძალადობის, მათ შორის ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებში გათვითცნობიერებას;
- ზ) დახმარებას მომავლის პერსპექტივების განსაზღვრასა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის აღდგენაში;
- თ) სოციალური დახმარების სფეროში არსებული რესურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და ამ ინფორმაციის ბენეფიციარისათვის მიწოდებას;
- ი) განათლების მიღების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
- კ) ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამსახურებთან, სპეციალისტებთან დაკავშირებასა და მომსახურების კოორდინაციას, რეფერირებას;
- ლ) ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას;
- მ) დასაქმებაში ხელშეწყობას;

ნ) სხვა ღონისძიებას, რაც გამოვლინდება ბენეფიციარის ფსიქოლოგიურ–სოციალური რეაბილიტაციის საჭიროებიდან.

3. სამედიცინო დახმარების მიღება/ორგანიზება მოიცავს:

ა) პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას/მიღებას;

ბ) ბაზისური მედიკამენტებით უზრუნველყოფას;

გ) ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის დამადასტურებელი კონკრეტული დოკუმენტის საფუძველზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით (რაც დასტურდება ფორმა 100ა), არაუმეტეს 300 ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურების (მათ შორის მედიკამენტები, გარდა ბაზისური მედიკამენტებისა) მიღების ორგანიზებას.

4. სამართლებრივი დახმარება მოიცავს:

ა) სამართლებრივ კონსულტაციას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, განცხადების/სარჩელის მომზადებას;

გ) სასამართლო/სამართალდამცავ ორგანოებში წარმომადგენლობას/ადვოკატირებას (ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დადგენის/გაგრძელების საკითხები, განქორწინება, ალიმენტი, საცხოვრისის განსაზღვრა (ბავშვზე), მამობის დადგენა, მემკვიდრეობითი, ქონებრივი საკითხები და ძალადობასთან/დანაშაულთან დაკავშირებული სხვა საკითხები).

5. თარჯიმნის მომსახურება გულისხმობს ბენეფიციარისთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდების, მათ შორის – უფლებებისა და ვალდებულებების, კრიზისული ცენტრის შინაგანაწესის და სხვა საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტის გაცნობის მიზნით თარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფას.

6. ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) კრიზისული ცენტრის მომსახურებების მიღება შეუძლია ყოველდღე, შაბათ–კვირის და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა – 09 საათიდან 18 საათამდე.

მუხლი 7. ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის ვადა

1. კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის მიზნით ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს და ფონდს შორის ფორმდება კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება) 3 თვემდე ვადით, მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მოქმედების ვადის გათვალისწინებით.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე, ერთი კვირით ადრე, კრიზისული ცენტრის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ უნდა მოხდეს ბენეფიციარის მდგომარეობის, მათ შორის შემთხვევის მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შეფასება, და, საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების ვადა უნდა გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვის ვადისა (მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მოქმედების ვადის გათვალისწინებით), რაც ფორმდება შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, როცა ობიექტური მიზეზების გამო (როგორცაა: სისხისამართლის საქმის წარმოების პროცედურები, სასამართლო პროცედურები.) ვერ სრულდება გეგმით გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებები, იურისტის მიერ უნდა მოხდეს საქმის დასრულება მიუხედავად ხელშეკრულების/შეთანხმების მოქმედების ვადისა.

3. ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს კრიზისული ცენტრის მომსახურებაზე უარის თქმა შეუძლია ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდეც, საკუთარი სურვილითა და გადაწყვეტილებით, ასევე შინაგანაწესით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 8. ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის მიმართვა კრიზისული ცენტრის მომსახურების მისაღებად და დოკუმენტაციის წარმოება

1. ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურების მისაღებად მომართვის შემთხვევაში, სავალდებულოა შემდეგი პროცედურების დაცვა:

- ა) გასაუბრება;
- ბ) ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ან დაზარალებულად ცნობის დადგენილების გადახედვა;
- გ) კრიზისული ცენტრის მომსახურებების, შინაგანაწესისა და კრიზისულ ცენტრში მოქმედი სხვა რეგულაციების გაცნობა განმცხადებლისთვის;
- დ) ხელშეკრულების დადება;
- ე) ბენეფიციარის რეგისტრაცია კრიზისული ცენტრის ბენეფიციართა რეგისტრაციის ჟურნალში.

2. კრიზისული ცენტრის ადმინისტრაცია ვალდებულია ბენეფიციარის მიერ მომსახურებების მიღებასთან დაკავშირებით აწარმოოს შემთხვევის მართვის გეგმა/შეფასება ფონდის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული ფორმების მიხედვით.

3. ბენეფიციარის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს:

- ა) ხელშეკრულება;
- ბ) მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელი/დაზარალებულად ცნობის დოკუმენტი (სავალდებულო);
- გ) პირადობის მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);
- დ) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – დაბადების მოწმობა (არსებობის შემთხვევაში), კანონიერი წარმომადგენლის/მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მომართვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ე) კრიზისული ცენტრის მომსახურებების შეთავაზების შევსებული ფორმა;
- ვ) ბენეფიციარის შემთხვევის მართვის გეგმა/შეფასება;
- ზ) სხვა დოკუმენტ(ებ)ი (სამედიცინო, იურიდიული, სხვ.), რომელიც უკავშირდება ბენეფიციარის შემთხვევას/საქმეს.

4. ბენეფიციართან დაკავშირებით, კრიზისულ ცენტრში უნდა ინახებოდეს ასევე: ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, იურისტის, მედდის ჩანაწერები/ანგარიშები შესაბამისი მომსახურების მიწოდების პროცესში ბენეფიციართან ჩატარებული მუშაობის შესახებ.

5. კრიზისული ცენტრის უფროსი ვალდებულია ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის კრიზისული ცენტრის მომსახურებაში მიღების/ჩარიცხვის შემთხვევაში 24 საათის განმავლობაში, ხოლო არასამუშაო დღეებში მომდევნო სამუშაო დღეს, აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს ფონდის დირექტორს.

6. არასრულწლოვანი ბენეფიციარის კრიზისულ ცენტრში ჩარიცხვის შემთხვევაში, კრიზისული ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, 24 საათის განმავლობაში, ხოლო არასამუშაო დღეებში მომდევნო სამუშაო დღეს, აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

მუხლი 9. ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის შემთხვევის მართვა

1. თითოეული ბენეფიციარის შემთხვევის მართვის მიზნით უნდა განხორციელდეს:

- ა) ბენეფიციარის ინტერვიუება და მისი საჭიროებების შეფასება მომართვიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში;

- ბ) ფსიქოლოგიური ან/და სოციალური ან/და სამედიცინო ან/და იურიდიული მომსახურებების დაგეგმვა და განხორციელება;
- გ) საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სპეციალისტებთან დაკავშირება და მომსახურებების კოორდინაცია.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები ხორციელდება დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული კრიზისული ცენტრის მომსახურებების შეთავაზების, შემთხვევის მართვის გეგმის და შემთხვევის მართვის გეგმის შეფასების ფორმების მიხედვით.

მუხლი 10. ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის კრიზისული ცენტრის მომსახურებიდან გასვლა/ამორიცხვა

1. კრიზისული ცენტრის მომსახურებიდან ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის გასვლის/ამორიცხვის საფუძვლებია:
- ა) ხელშეკრულების ვადის გასვლა;
 - ბ) პირადი განცხადება;
 - გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – „კრიზისული ცენტრის დატოვება“ – შეფარდება;
 - დ) ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლი/დაზარალებული ბენეფიციარის შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის/მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მომართვა;
 - ე) გარდაცვალება;
 - ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
2. ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურებიდან გასვლა/ამორიცხვა კონკრეტული თარიღის მითითებით ფიქსირდება ბენეფიციართა რეგისტრაციის ჟურნალში.
3. კრიზისული ცენტრის უფროსი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით ბენეფიციარის მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურებიდან გასვლის/ამორიცხვის შემთხვევაში, 24 საათის განმავლობაში, ხოლო არასამუშაო დღეებში, მომდევნო სამუშაო დღეს, აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს ფონდის დირექტორს. ბენეფიციარის (მათ შორის დამოკიდებული პირ(ებ)ის) მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურებიდან გასვლის/ამორიცხვის შემთხვევაში ფონდისთვის მოწოდებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:
- ა) ბენეფიციარის პირად მონაცემებს;
 - ბ) კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის პერიოდს;
 - გ) ბენეფიციარის მიმართ კრიზისულ ცენტრში გაწეული მომსახურებების სახეებსა და აღწერას (დეტალური);
 - დ) კრიზისული ცენტრის დატოვების საფუძველს.

თავი III

კრიზისული ცენტრის მომსახურებები ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის, მომსახურების ვადა და მომსახურების მიღების პროცედურები

მუხლი 11. კრიზისული ცენტრის მომსახურებები ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის

1. კრიზისული ცენტრი ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებებით:

ა) დროებითი (სადღელამისო) საცხოვრისით (გარდა სექსუალური ხასიათის ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისა, როცა ასეთი ძალადობა არ განხორციელებულა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით);

ბ) ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებით;

გ) პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით/მიღებით (გარდა სექსუალური ხასიათის ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისა, როცა ასეთი ძალადობა არ განხორციელებულა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით);

დ) სამართლებრივი დახმარებით (ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე);

ე) საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურებით.

2. დროებითი (სადღელამისო) საცხოვრისით უზრუნველყოფა გულისხმობს:

ა) ნორმალური არსებობისათვის შესაფერისი, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას;

ბ) დღის განმავლობაში ოთხჯერად კვებას. კვების ორგანიზებისთვის:

ბ.ა) ყოველდღიური მენიუ უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას ყოველ დღილით;

ბ.ბ) საკვები უნდა მომზადდეს და საკვების მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ სამზარეულოში/სასადილო ოთახში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია სასადილოში საკვების მიღება, უფლება აქვს საკვები მიიღოს საცხოვრებელ ოთახში;

ბ.გ) ბენეფიციარს უფლება აქვს, საკუთარი სახსრებით თავად მოამზადოს საჭმელი. ბენეფიციარის მიერ საჭმლის მომზადების შემთხვევაში, აუცილებელია მის მიერვე იქნეს მოწესრიგებული (დასუფთავება-დალაგება) სამზარეულო საჭმლის მომზადების შემდეგ;

ბ.დ) ბენეფიციარმა წინასწარ უნდა გააფრთხილოს კრიზისული ცენტრის ადმინისტრაცია, თუ იმყოფება სპეციალურ დიეტაზე ან არის ალერგიული.

გ) ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ტანსაცმლით უზრუნველყოფას.

3. ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარება მოიცავს:

ა) ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და რეაბილიტაციას;

ბ) კრიზისულ ინტერვენციას;

გ) ემოციონალურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას;

დ) ძალადობის, ზავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებში გათვითცნობიერებას;

ე) სოციალური დახმარების სფეროში არსებული რესურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და ამ ინფორმაციის ბენეფიციარისათვის მიწოდებას;

ვ) განათლების მიღების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ზ) ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამსახურებთან, სპეციალისტებთან დაკავშირებასა და მომსახურების კოორდინაციას, რეფერირებას.

4. სამედიცინო დახმარების მიღება/ორგანიზება მოიცავს:

ა) პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას/მიღებას;

ბ) ბაზისური მედიკამენტებით უზრუნველყოფას;

5. სამართლებრივი დახმარება მოიცავს:

ა) სამართლებრივ კონსულტაციას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, განცხადების მომზადებას (ძალადობის მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე);

გ) სასამართლო/სამართალდამცავ ორგანოებში წარმომადგენლობას/ადვოკატირებას (ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით).

6. თარჯიმნის მომსახურება გულისხმობს ბენეფიციარისთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდების, მათ შორის – უფლებებისა და ვალდებულებების, კრიზისული ცენტრის შინაგანაწესის და სხვა საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტის გაცნობის მიზნით თარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფას.

7. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) კრიზისული ცენტრის სამართლებრივი და ფსიქოლოგიურ-საოციალური მომსახურებების მიღება შეუძლია ყოველდღე, შაბათ-კვირის და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა 09 საათიდან 18 საათამდე.

მუხლი 12. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის ვადა

1. კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის მიზნით ფონდსა და ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს შორის ფორმდება ხელშეკრულება, არაუმეტეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადით.

2. ხელშეკრულების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დადგენისთვის დაწყებული პროცედურები არ არის დასრულებული. ასეთ შემთხვევაში კრიზისული ცენტრით სარგებლობის ვადა გაგრძელდება პროცედურების დასრულებამდე, კერძოდ:

ა) დამცავი ორდერის გამოცემის/გამოცემაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე;

ბ) ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის)/ადამიანთა უფლებების (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებო-სამართლებრივ საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს კრიზისული ცენტრის მომსახურებაზე უარის თქმა შეუძლია ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდეც, საკუთარი სურვილითა და გადაწყვეტილებით, ასევე შინაგანაწესით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 13. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის მიმართვა კრიზისული ცენტრის მომსახურების მისაღებად და დოკუმენტაციის წარმოება

1. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურების მისაღებად მომართვის შემთხვევაში, სავალდებულოა შემდეგი პროცედურების დაცვა:

ა) გასაუბრება;

ბ) ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის იდენტიფიცირების სპეციალური კითხვარის შევსება და კითხვარის საფუძველზე პირის ძალადობის სავარაუდო მსხვერპლად განსაზღვრა. კითხვარის საფუძველზე ასევე გადაწყდება კრიზისული ცენტრის დღის მომსახურებების ან/და სადღერამისო დროებითი საცხოვრისის (გარდა სექსუალური ხასიათის ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისა, როცა ასეთი ძალადობა არ განხორციელებულა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანთა უფლებების (ტრეფიკინგის) ნიშნით) მომსახურების მიწოდების მიზანშეწონილობის საკითხიც. თუ პირი სპეციალური საიდენტიფიკაციო კითხვარის საფუძველზე არ იქნება მიჩნეული ძალადობის

სავარაუდო მსხვერპლად, უარი ეთქმება კრიზისული ცენტრის მომსახურებ(ებ)ის მიღებაზე;

გ) სავარაუდო მსხვერპლი ვერ მიიღებს კრიზისული ცენტრის მომსახურებას (გარდა სექსუალური ხასიათის ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინის) სავარაუდო მსხვერპლისა), მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტ(ებ)ზე ინფორმაციის მესამე პირებისგან მიღებასთან/გადამოწმებასთან დაკავშირებით თანხმობის ფორმის შევსებაზე უარის ან შესაბამისი პირების საკონტაქტო ინფორმაციის დაფარვის შემთხვევაში.

2. იდენტიფიცირების სპეციალური კითხვარის საფუძველზე პირის ძალადობის სავარაუდო მსხვერპლად განსაზღვრის შემთხვევაში, სავალდებულოა შემდეგი პროცედურების დაცვა:

ა) კრიზისული ცენტრის მომსახურებების, შინაგანაწესისა და კრიზისულ ცენტრში მოქმედი სხვა რეგულაციების გაცნობა;

ბ) კრიზისული ცენტრის თანამშრომლის მიერ სავარაუდო მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტ(ებ)ზე ინფორმაციის მესამე პირებისგან მიღებასთან/გადამოწმებასთან დაკავშირებით ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის მიერ თანხმობის ფორმის შევსება (გარდა სექსუალური ხასიათის ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინის) სავარაუდო მსხვერპლისა);

გ) ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის რეგისტრაცია (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) კრიზისული ცენტრის ბენეფიციართა რეგისტრაციის ჟურნალში;

დ) ხელშეკრულების დადება;

ე) ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 24 საათისა, სავარაუდო მსხვერპლთან შეთანხმებით მისთვის მისაწოდებელი მომსახურების სახეების და ვადების წერილობით განსაზღვრა. აღნიშნულ წერილობით დოკუმენტს კრიზისული ცენტრის უფლებამოსილ თანამშრომელთან ერთად ხელმოწერით ადასტურებს თავად სავარაუდო მსხვერპლიც.

3. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს:

ა) შევსებული იდენტიფიცირების სპეციალური კითხვარი;

ბ) პირადობის მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

გ) არასრულწლოვანი დამოკიდებული პირის შემთხვევაში – დაბადების მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

დ) ხელშეკრულება;

ე) სხვა დოკუმენტ(ებ)ი (სამედიცინო, იურიდიული, სხვ.), რომელიც უკავშირდება ბენეფიციარის შემთხვევას/საქმეს.

4. ბენეფიციართან დაკავშირებით, კრიზისულ ცენტრში უნდა ინახებოდეს ასევე: ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, იურისტის, მედლის ჩანაწერები/ანგარიშები შესაბამისი მომსახურების მიწოდების პროცესში ბენეფიციართან ჩატარებული მუშაობის შესახებ.

5. კრიზისული ცენტრის მულტიდისციპლინური გუნდი ვალდებულია სავარაუდო მსხვერპლთან მუშაობის პროცესში გამოარკვიოს ჰყავს თუ არა არასრულწლოვანი შვილები და დაადგინოს, ბავშვები არიან თუ არა პირდაპირი და/ან ირიბი ძალადობის მსხვერპლები. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება სავარაუდო მსხვერპლის არასრულწლოვანი შვილების მიმართ პირდაპირი და/ან ირიბი ძალადობის საფუძვლიანი ეჭვი, კრიზისული ცენტრის უფლებამოსილი პირი ვალდებულია, არასრულწლოვნებზე, როგორც ძალადობის სავარაუდო მსხვერპლებზე, ინფორმაცია მიაწოდოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

6. კრიზისული ცენტრის უფროსი ვალდებულია, ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) კრიზისული ცენტრის მომსახურებაში მიღების/ჩარიცხვის შემთხვევაში, 24 საათის განმავლობაში, ხოლო არასამუშაო დღეებში, მომდევნო სამუშაო დღეს, აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს ფონდის დირექტორს.

7. არასრულწლოვანი პირის მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურების მისაღებად მიმართვის შემთხვევაში (რომელიც მიუთითებს მის მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებაზე), კრიზისული ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (ან ინფორმაცია მიაწოდოს ცხელ ხაზს -1505) და გამოიძახოს საპატრულო პოლიცია (112).

8. ბენეფიციარის ფონდის თავშესაფარში რეფერირების შემთხვევაში, კრიზისული ცენტრის უფროსი ვალდებულია, ბენეფიციართან დაკავშირებული პირადი საქმე გადასცეს იმ თავშესაფრის უფროსს, სადაც მოხდება ბენეფიციარის რეფერირება.

მუხლი 14. კრიზისული ცენტრიდან ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის დროებით გასვლა-დაბრუნება

1. კრიზისულ ცენტრში თვალსაჩინო ადგილზე მოთავსებულია „ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა კრიზისული ცენტრიდან დროებით გასვლა-დაბრუნების ჟურნალი“, რომელშიც აღირიცხება ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა კრიზისული ცენტრიდან დროებით გასვლა/დაბრუნება.

2. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი ვალდებულია კრიზისული ცენტრიდან დროებით გასვლისას შეავსოს „ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა კრიზისული ცენტრიდან დროებით გასვლა-დაბრუნების ჟურნალი“, რომელშიც მიეთითება:

ა) სახელი, გვარი;

ბ) კრიზისული ცენტრიდან გასვლის ზუსტი დრო;

გ) კრიზისულ ცენტრში დაბრუნების სავარაუდო დრო;

დ) საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონი (სავალდებულო), მისამართი (სურვილის შემთხვევაში) და სხვ.);

ე) ხელმოწერა.

3. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს უფლება აქვს დღე-ღამის განმავლობაში არაუმეტეს 24 საათისა დროებით დატოვოს დროებით საცხოვრისი (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად). ასევე, უფლება აქვს დამოკიდებული პირები, დღეთა რაოდენობის შეუზღუდავად, გაიყვანოს და დატოვოს მესამე პირთან. ასეთ შემთხვევაში ვალდებულია, აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მიმართოს კრიზისული ცენტრის უფროსს.

მუხლი 15. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის კრიზისული ცენტრის მომსახურებიდან გასვლა/ამორიცხვა

1. კრიზისული ცენტრის მომსახურებიდან ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის გასვლის/ამორიცხვის საფუძვლებია:

ა) მომსახურებით სარგებლობის ვადის გასვლა;

ბ) ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს უარყოფითი გადაწყვეტილება. ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, კრიზისული ცენტრის შესაბამისი მომსახურების მისაღებად ძალადობის

მსხვერპლისთვის/დაზარალებულისთვის მომსახურების მიწოდება გაგრძელდება შინაგანაწესის II თავით გათვალისწინებული წესით;

გ) პირადი განცხადება;

დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – „კრიზისული ცენტრის დატოვება“ – შეფარდება;

ე) გარდაცვალება;

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) კრიზისული ცენტრის მომსახურებიდან გასვლა/ამორიცხვა კონკრეტული თარიღის მითითებით ფიქსირდება ბენეფიციართა რეგისტრაციის ჟურნალში.

3. კრიზისული ცენტრის უფროსი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით ბენეფიციარის კრიზისული ცენტრის მომსახურებიდან გასვლის/ამორიცხვის შემთხვევაში 24 საათის განმავლობაში, ხოლო არასამუშაო დღეებში, მომდევნო სამუშაო დღეს, აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს ფონდის დირექტორს. ბენეფიციარის (მათ შორის დამოკიდებული პირ(ებ)ის) მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურებიდან გასვლის/ამორიცხვის შემთხვევაში მიწოდებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) ბენეფიციარის პირად მონაცემებს;

ბ) კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის პერიოდს;

გ) ბენეფიციარის მიმართ კრიზისულ ცენტრში გაწეული მომსახურებების სახეებსა და აღწერას (დეტალური);

დ) კრიზისული ცენტრის დატოვების საფუძველს.

თავი IV

კრიზისული ცენტრის ადმინისტრირება

მუხლი 16. კონფიდენციალურობის დაცვის საკითხები

1. კრიზისულ ცენტრში დაცული უნდა იყოს ბენეფიციარის პერსონალური მონაცემების/პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რისთვისაც:

ა) კრიზისული ცენტრის თანამშრომლები, მოხალისეები, სტაჟიორები/პრაქტიკანტები ვალდებულნი არიან დაიცვან ბენეფიციარების პირადი/პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა. პირადი/პერსონალური ინფორმაცია მოიცავს: ბენეფიციარის კორესპონდენციას, სატელეფონო საუბრებს, ელექტრონულ ფოსტას, პირად შეხვედრებს, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ-სოციალური, სამართლებრივი მომსახურების მიწოდების დროს მიღებულ ინფორმაციას და სხვა;

ბ) ბენეფიციარები ვალდებულნი არიან დაიცვან კრიზისული ცენტრის სხვა ბენეფიციართა და მათთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

2. კრიზისული ცენტრის ადმინისტრაციის მიერ ბენეფიციარის შესახებ ინფორმაცია ინახება საიდუმლოდ და უსაფრთხოდ. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის (კრიზისული ცენტრის უფროსი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი, მედდა, ძიძა, ფონდის უფლებამოსილი თანამშრომელი, ხოლო არასრულწლოვანი ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის შემთხვევაში – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკისათვის).

3. ბენეფიციარის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებამდე (მესამე მხარისთვის გადაცემამდე), კრიზისული ცენტრის ადმინისტრაციამ წერილობითი თანხმობა უნდა მიიღოს ბენეფიციარისაგან/მისი კანონიერი წარმომადგენლისგან გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.
4. კრიზისული ცენტრის თანამშრომლებს უფლება აქვთ, ბენეფიციარის პირადი ინფორმაცია გამოიყენონ მხოლოდ მუშაობის (შემთხვევის განხილვა, კონსულტაციები ან სხვა) პროცესში.
5. კრიზისული ცენტრის თანამშრომლებს არ აქვთ უფლება, ისაუბრონ ან განიხილონ ბენეფიციარის პირადი ცხოვრება კერძო/პირად საუბრებში.
6. ბენეფიციარს/ბენეფიციარის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, საჭიროების ან სურვილის შემთხვევაში, გაეცნოს კრიზისულ ცენტრში დაცულ მის პირად საქმეს.

მუხლი 17. უკუკავშირის/გაპროტესტების პროცედურები

1. კრიზისული ცენტრის ბენეფიციარებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოხატონ თავიანთი შეხედულება და/ან უკმაყოფილება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. სიტყვიერი/წერილობითი აზრი და/ან პროტესტი განიხილება კრიზისული ცენტრის უფროსის მიერ.
2. კრიზისული ცენტრის ბენეფიციარები და თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან აზრის გამოხატვის/გაპროტესტების პროცედურის შესახებ.
3. ბენეფიციარს ან/და კრიზისული ცენტრის თანამშრომელს უფლება აქვს გამოიყენოს უკუკავშირის/გაპროტესტების შემდეგი ფორმები:
 - ა) სიტყვიერი;
 - ბ) წერილობითი;
 - გ) ანონიმური.
4. კრიზისული ცენტრის თანამშრომელი ვალდებულია:
 - ა) ნებისმიერ ბენეფიციარს მისცეს აზრის/პროტესტის გამოხატვის საშუალება;
 - ბ) არ შეაწყვეტინოს ბენეფიციარს აზრის/პროტესტის გამოხატვის პროცესი;
 - გ) არ მოახდინოს ნეგატიური რეაგირება ბენეფიციარის მიერ აზრის/პროტესტის გამოხატვის დროს;
 - დ) აზრის/პროტესტის გამოხატვისას, ბენეფიციარს შეუქმნას შესაბამისი გარემო;
 - ე) იმ შემთხვევაში, თუ აზრი/პროტესტი საჭიროებს დაუყოვნებელ ჩარევას, მოახდინოს მასზე გადაუდებელი რეაგირება.
5. კრიზისული ცენტრის ადმინისტრაცია ვალდებულია:
 - ა) განიხილოს აზრი/პროტესტი რეგულარულად;
 - ბ) აზრის/პროტესტის შინაარსიდან გამომდინარე, აცნობოს ფონდის ხელმძღვანელობას, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია გაატაროს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები.
6. ანონიმური უკუკავშირისთვის კრიზისულ ცენტრში უნდა არსებობდეს სპეციალური უკუკავშირის ჟურნალი, ასევე, შესაძლებელია არსებობდეს სპეციალური ყუთი.
7. სპეციალური უკუკავშირის ჟურნალი უნდა იყოს განთავსებული ბენეფიციარებისათვის თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას, უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი, დალუქული და ბეჭედდასმულ მდგომარეობაში. აღნიშნული ჟურნალი უნდა მოწმდებოდეს კრიზისული ცენტრის უფროსის მიერ ყოველი კვირის ბოლო სამუშაო დღეს. ჟურნალში დაფიქსირებული აზრის/პროტესტის შემთხვევაში კრიზისული ცენტრის უფროსის მხრიდან შესაბამისი რეაგირების თაობაზე უნდა დგებოდეს წერილობითი დოკუმენტი უფროსის ხელმოწერით. აღნიშნული ჟურნალი და რეაგირების

წერილობითი დოკუმენტ(ებ)ი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფონდის მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოსთვის ნებისმიერ დროს.

8. სპეციალური ყუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს განთავსებული ბენეფიციარებისათვის თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას და უნდა იკეტებოდეს საკეტიო. ყუთის გასაღები უნდა ინახებოდეს ფონდის მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოში და ყუთის გახსნა უნდა ხდებოდეს სამმართველოს თანამშრომლის მიერ გეგმიური/არაგეგმიური მონიტორინგის დროს კრიზისული ცენტრის ადმინისტრაციის თანდასწრებით. ყუთში დაფიქსირებული აზრის/პროტესტის ამსახველი წერილების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების თაობაზე უნდა შედგეს ოქმი.

9. ბენეფიციარს, იმ შემთხვევაში, თუ უნდობლობას უცხადებს კრიზისული ცენტრის ადმინისტრაციას, უფლება აქვს ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდეს ფონდის მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს ან/და ფონდის დირექტორს.

მუხლი 18. ბენეფიციარის ძალადობისაგან, დისკრიმინაციისა და უგულბელყოფისგან დაცვა

1. კრიზისულ ცენტრში ბენეფიციართათვის უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც იგი დაცული იქნება დისკრიმინაციის, ძალადობისა და უგულბელყოფისაგან.

2. კრიზისულ ცენტრის ადმინისტრაციის მხრიდან დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებს, თუ გამოვლინდება ძალადობის (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური, იძულება), უგულბელყოფის ან დისკრიმინაციის ფაქტი ბენეფიციარის მიმართ, ან/და ამგვარი შემთხვევის საფრთხე ან/და საფუძვლიანი ეჭვი ამგვარი შემთხვევის არსებობის შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო მსხვერპლთან მუშაობის პროცესში გამოირკვევა, რომ მას ჰყავს არასრულწლოვანი შვილები, რომელთა მიმართაც ხორციელდება პირდაპირი და/ან ირიბი ძალადობა, კრიზისული ცენტრის უფლებამოსილი პირი ვალდებულია, არასრულწლოვნებზე, როგორც ძალადობის სავარაუდო მსხვერპლებზე, ინფორმაცია მიაწოდოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და იმოქმედოს 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილებით დამტკიცებული “ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებისა” და ფონდის დირექტორის 2017 წლის 4 მაისის 07-43/ო ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურულ ერთეულებში (თავშესაფრები, კრიზისული ცენტრი) ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით სამოქმედო ინსტრუქციის“ შესაბამისად.

4. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება კრიზისული ცენტრის ბენეფიციარის მიმართ ძალადობის ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა კრიზისულ ცენტრში, ბენეფიციარი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პირველადი ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარებით.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული შემთხვევის გამოვლენისთანავე ან/და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ფონდის ხელმძღვანელობას, არასრულწლოვნის შემთხვევაში ასევე სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ძალადობის ყველა ფაქტი, განცხადება/შეტყობინება და გატარებული ღონისძიებები უნდა აღირიცხოს წერილობით – ძალადობის ფაქტებისა და მის საპასუხოდ გატარებული ღონისძიებების აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში.

მუხლი 19. ქცევის ნორმები

1. კრიზისული ცენტრის თანამშრომლები, მოხალისეები, სტაჟიორები/პრაქტიკანტები ვალდებული არიან:

ა) სამუშაო ადგილზე იქცეოდნენ პროფესიონალურად;

ბ) დაიცვან ბენეფიციართა უფლებები და ინტერესები, არ შელახონ ბენეფიციართა პატივი და ღირსება;

გ) დაიცვან ბენეფიციარის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა;

დ) არ დაუშვან ბენეფიციარის მიმართ ძალადობისა და ძალადობის მუქარის, დამცინავი/შურაცხმყოფელი განცხადებების გამოყენება და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით გამოვლენა;

ე) დროულად გამოცხადდნენ სამუშაო ადგილზე;

ვ) პოზიტიური ურთიერთობები ჰქონდეთ ერთმანეთთან;

ზ) დაიცვან უსაფრთხოების წესები სამუშაო ადგილზე, რათა შეუქმნან უსაფრთხო გარემო ბენეფიციარებს, საკუთარ თავსა და სხვებს;

თ) გაუფრთხილდნენ კრიზისული ცენტრის ქონებას და შეატყობინონ ადმინისტრაციას მათი დაზიანების შემთხვევების შესახებ;

ი) დაიცვან ფონდის შრომის შინაგანაწესი და ფონდში/კრიზისულ ცენტრში მოქმედი სხვა რეგულაციები.

2. კრიზისულ ცენტრში ნებისმიერი პირის გარდაცვალების, კონფლიქტის შედეგად მიღებული ფიზიკური დაზიანების, ან თანამშრომლების და/ან ბენეფიციარების წინააღმდეგ ჩადენილი არაკანონიერი ქმედების შემთხვევაში, კრიზისული ცენტრის უფროსი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ფონდის ხელმძღვანელობას, სამართალდამცავ ორგანოებს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ასევე, სსიპ – სოციალურ მომსახურების სააგენტოს.

3. კრიზისული ცენტრის ყველა თანამშრომელს სასტიკად ეკრძალება სამუშაო ადგილზე ნარკოტიკების ან/და ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა. სიგარეტის მოწევა შესაძლებელია მხოლოდ ამისთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილას ან შენობისა და ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 20. უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვა

1. კრიზისული ცენტრის ტერიტორიაზე ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს გამოკრული შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“, გაზის, ელექტროენერჯის, წყლის და კანალიზაციის მომწოდებელი ადგილობრივი სამსახურების, ფონდის მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საკონტაქტო ინფორმაცია.

2. კრიზისულ ცენტრში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტელეფონი თანამშრომლებისა და ბენეფიციარებისათვის.

3. კრიზისულ ცენტრში დაცული უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო ზომები. კრიზისული ცენტრის ტერიტორიაზე უნდა იყოს დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები სტენდებისა და ცეცხლმაქრების სახით.
4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კრიზისულ ცენტრში დაცული უნდა იყოს სანიტარულ-ჰიგიენური წესები:
- ა) საპირფარეშოსა და აბაზანაში უნდა იყოს ჰიგიენის შესაბამისი ნივთები;
 - ბ) ნაგავი უნდა ინახებოდეს დახურულ კონტეინერში, სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას და ნაგვის გატანა კრიზისული ცენტრის შენობიდან უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად.
5. ბენეფიციარებისთვის მედიკამენტები არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი პირის გარეშე.
6. კრიზისულ ცენტრში შემოსულთა შორის ინფექციური ან პარაზიტული დაავადებების გამოვლენისას პირველი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიების სახით სავალდებულოა დაავადებულთა იზოლაცია, შემდგომ კი ჰოსპიტალიზაცია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, სრულ გამოჯანმრთელებამდე. ამასთან ერთად, ტერიტორიაზე ტარდება დეზინფექცია და სამედიცინო შემოწმება დაავადებულთან კონტაქტების გამოვლენის მიზნით.
7. კრიზისულ ცენტრში ნებისმიერი სახის ინფექციური დაავადების ან დაავადებაზე ეჭვის დაფიქსირებისას დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს და ნებისმიერი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიება ჩატარდეს მისი რეკომენდაციებით.

თავი V

კრიზისული ცენტრის ბენეფიციარის უფლება-მოვალეობები

მუხლი 21. ბენეფიციარის უფლებები

1. ბენეფიციარს უფლება აქვს:

- ა) ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, კრიზისული ცენტრის მომსახურების თაობაზე;
- ბ) ისარგებლოს კრიზისულ ცენტრში არსებული შესაბამისი მომსახურებებით;
- გ) უარი განაცხადოს კრიზისული ცენტრის მომსახურებაზე ნებისმიერ დროს, რასთან დაკავშირებითაც უნდა აცნობოს კრიზისული ცენტრის ადმინისტრაციას;
- დ) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
- ე) დაცული იყოს ყველა ფორმის ძალადობისაგან;
- ვ) თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივროს კრიზისული ცენტრის უფროსისა და კრიზისული ცენტრის სხვა თანამშრომლის, ფონდის დირექტორის, ფონდის სხვა თანამშრომლის არამართლზომიერი ქმედებები წინამდებარე შინაგანაწესით ან/და კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ზ) გამოხატოს თავისი შეხედულება ან/და უკმაყოფილება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით სიტყვიერი ან/და წერილობითი ან/და ანონიმური ფორმით;
- თ) მოითხოვოს კრიზისულ ცენტრში დაცული, მის შესახებ არსებული პირადი და სხვა ტიპის ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დაცვა, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, ასევე, მისი წერილობითი და ელექტრონული კორესპონდენციების, სატელეფონო საუბრებისა და პირადი შეხვედრების კონფიდენციალურობა, ასევე

მომსახურების მიწოდების დროს მის შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

ი) ისარგებლოს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

2. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს ასევე უფლება აქვს:

ა) მიიღოს საკვები (ოთხჯერადი კვება) წინასწარ შემუშავებული მენიუს შესაბამისად და ისარგებლოს პირადი ჰიგიენის საშუალებებით;

ბ) დღის განმავლობაში თავისუფლად გადაადგილდეს კრიზისული ცენტრის გარეთ, რის შესახებაც უნდა მიუთითოს ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა კრიზისული ცენტრიდან დროებით გასვლა-დაბრუნების ჟურნალში;

გ) იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულია ან/და პირადი მიზეზების გამო საჭიროებს კრიზისული ცენტრის დროებით დატოვებას (სამუშაო დღეებში 9 საათიდან 18 საათამდე), მასზე დამოკიდებული არასრულწლოვანი პირ(ებ)ის/ბავშვ(ებ)ის მოვლა-პატრონობა მიანდოს კრიზისული ცენტრის ძიძას.

მუხლი 22. ბენეფიციარის ვალდებულებები და კრიზისულ ცენტრში მოქმედი აკრძალვები

1. ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) პატივი სცეს სხვა ბენეფიციართა და კრიზისული ცენტრის თანამშრომელთა პატივსა და ღირსებას, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი სიტყვები/გამოთქმები;

ბ) არ გამოიყენოს ძალადობრივი (ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური და/ან სექსუალური ძალადობა, იძულება; ასევე უგულვებელყოფა არასრულწლოვანი შვილების მიმართ) ქმედებები სხვა ბენეფიციარ(ებ)ის და/ან თანამშრომლების, ასევე - არასრულწლოვნების (მათ შორის საკუთარი შვილების) მიმართ.

გ) დაიცვას შინაგანაწესითა და კრიზისულ ცენტრში მოქმედი სხვა რეგულაციებით დადგენილი წესები;

დ) გაუფრთხილდეს კრიზისული ცენტრის ქონებას;

ე) კონფიდენციალურად შეინახოს კრიზისულ ცენტრში გატარებული აქტივობები, სხვა ბენეფიციართა ვინაობა;

ვ) კრიზისულ ცენტრის მომსახურების სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში შეასრულოს კრიზისული ცენტრის ადმინისტრაციის კანონიერი მითითებები;

ზ) კრიზისული ცენტრის მომსახურების დატოვების შემთხვევაში, აცნობოს კრიზისული ცენტრის ადმინისტრაციას;

თ) დაიცვას ხელშეკრულებით და ამ შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებები, ასევე კრიზისულ ცენტრში მოქმედი სხვა წესები.

2. ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი ასევე ვალდებულია:

ა) იზრუნოს საკუთარ შვილებზე (რაც გულისხმობს აღზრდის პოზიტიური მეთოდების გამოყენებას და ნებისმიერი სახის ძალადობის დაუშვებლობას) დღეღამის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჭიროებიდან გამომდინარე, ბავშვები მინდობილი ჰყავს ძიძისთვის;

ბ) საკუთარი შვილების თამაშის/გართობის დასრულების შემდეგ მოაწესრიგოს საერთო ოთახი/კუთხე;

გ) აბაზანით სარგებლობის შემდეგ, დაასუფთავოს/მოაწესრიგოს აბაზანა;

დ) დაიცვას კრიზისულ ცენტრში სიჩუმის/სიმშვიდის საათები 23 საათიდან დილის 7 საათამდე. ამ დროს ბენეფიციარი ვალდებულია, არ იხმაუროს, არ მოუსმინოს მუსიკას ან/და არ ჩართოს ტელევიზორი იმ ხმაზე, რომ ისმინებოდეს ოთახის კედლებს გარეთაც,

არ ისაუბროს ტელეფონით იმ ხმაზე, რომ დაირღვეს სხვა ბენეფიციართა მყუდროება და სიმშვიდე;

ე) კრიზისული ცენტრიდან დღე-ღამის განმავლობაში დროებით გასვლისას აღნიშნულის თაობაზე მიუთითოს ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა კრიზისული ცენტრიდან დროებით გასვლა-დაბრუნების ჟურნალში;

ვ) კრიზისული ცენტრის დატოვებისას, ადმინისტრაციას დაუბრუნოს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ნივთები.

3. ბენეფიციარს ეკრძალება:

ა) ალკოჰოლური სასამელების მოხმარება კრიზისულ ცენტრში;

ბ) ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შენახვა/ტარება/გამოყენება;

გ) თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა;

დ) ხმაური, განსაკუთრებით ღამის (23 საათიდან მომდევნო დღის 07:00 საათამდე) საათებში;

ე) ამორალური ქმედების ჩადენა;

ვ) სოციალურად საშიში დაავადებების დამალვა;

ზ) კრიზისულ ცენტრში არეულობის მოწყობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კრიზისულ ცენტრში არსებულ კეთილგანწყობილ გარემოს;

თ) ნებისმიერი სახის ძალადობის (ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური და/ან სექსუალური ძალადობა, იძულება; ასევე უგულვებელყოფა არასრულწლოვანი შვილების მიმართ)

გამოვლენა ბენეფიციართა და/ან თანამშრომელთა მიმართ;

ი) სტუმრების მიღება კრიზისულ ცენტრში;

კ) კრიზისული ცენტრის ტერიტორიაზე ცხოველების/ფრინველების ყოლა.

4. ამ მუხლის პირველი და/ან მე-2 და/ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და აკრძალვების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის მიმართ დადგება დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების საკითხი.

თავი VI

ცხელი ხაზის ადმინისტრირება

მუხლი 23. ცხელი ხაზის ფუნქციონირების წესები

1. კრიზისულ ცენტრში ფუნქციონირებს ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელი ხაზი – 116 006 – რომელიც სატელეფონო კონსულტაცი(ებ)ს უწევს ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებით დაინტერესებულ აბონენტ(ებ)ს 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე.

2. ცხელი ხაზის ადმინისტრირებისა და კომუნიკაციის წესები განისაზღვრება ფონდის დირექტორის ბრძანებით.

თავი VII

პასუხისმგებლობა შინაგანაწესის დარღვევისათვის

მუხლი 24. დისციპლინური პასუხისმგებლობა და მისი სახეები

1. კრიზისული ცენტრის თანამშრომელის მიერ წინამდებარე შინაგანაწესის დარღვევა იწვევს ფონდის შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას.
2. კრიზისული ცენტრის ბენეფიციარის მიერ წინამდებარე შინაგანაწესის დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, რომლის სახეებია:
 - ა) შენიშვნა;
 - ბ) გაფრთხილება;
 - გ) კრიზისული ცენტრის დატოვება.
3. დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების პირობებს წარმოადგენს წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი წესების დარღვევა როგორც ერთჯერადად, ასევე არაერთგზის/განმეორებით შემთხვევებში.
4. ბენეფიციარის მიერ შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში კრიზისული ცენტრის უფროსს უფლება აქვს მის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
5. ბენეფიციარის მიერ შინაგანაწესის უხეში ან/და არაერთგზის დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის მიმართ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფონდის დირექტორი კრიზისული ცენტრის უფროსის შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე. შუამდგომლობას აუცილებლად უნდა ერთვოდეს კონკრეტული შემთხვევის/ფაქტის წერილობითი აღწერა და დასაბუთება აღნიშნული ზომის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ.

თავი VIII

დასკვნითი დებულებები

მუხლი 25. კრიზისული ცენტრის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

კრიზისული ცენტრი საქმიანობას წყვეტს რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე ფონდის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 26. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე შინაგანაწესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ფონდის დირექტორის ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.